სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-10/47

2026 წლის აპრილში ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის", ,,ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 18 მარტის №01-02/58 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2026 წლის აპრილში ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები **საპროცედურო კომისია,** შემდეგი შემადგენლობით:
ა) ნატალია ნაკაშიძე - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, თავმჯდომარე;
ბ) ნინო ნაცვლიშვილი - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გ) დალი კახიძე - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

1.2. საპროცედურო კომისიამ უზრუნველყოს ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება, მათ შორის:
ა) საპროცედურო კომისიის სამუშაო ოთახში (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის N32/35, პირველი კორპუსის პირველ სართულზე, №02 ოთახი) მიიღოს საკონკურსო **დოკუმენტაცია** ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 18 მარტის № 01-02/58 ბრძანებით განსაზღვრულ **ვადებში და წესით** (მატერიალური სახით წარმოდგენამდე, საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალის მოდულში ,,სამეცნიერო პერსონალის კონკურსი"

www.portal.bsu.edu.ge/jobs და თან უნდა დაერთოს (აიტვირთოს) შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული და საკონკურსო განაცხადში (ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ვერსია. შენიშვნა: ბსუ-ში შრომითი გამოცდილების/მოქმედი შრომითი კონტრაქტის არმქონე პირმა, რომელსაც სურვილი ექნება მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს ბსუ-ს საპროცედურო კომისიას/ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს პორტალის მოდულში „სამეცნიერო პერსონალის კონკურსი" ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტის) შევსების მიზნით მომხმარებლის და პაროლის მისაღებად);

ბ) ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 18 მარტის №01-02/58 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ბსუ-ს ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია, დადგენილ ვადებში დარეგისტრირებული კონკურსანტების შესახებ და საკონკურსო მასალები გადასცეს საკონკურსო კომისიას;

გ) საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას კონკურსანტების მიერ პორტალზე www.portal.bsu.edu.ge/jobs გადმოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაცია;

დ) კონკურსანტის საჩივარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიიღოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

ე) კონკურსანტის საჩივარი (არსებობის შემთხვევაში) შემოტანიდან იმავე სამუშაო დღის 18:00 სთ-მდე გადასცეს სააპელაციო კომისიას, შემოტანიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განხილვის უზრუნველსაყოფად;

ვ) მისცეს განმარტებები სააპელაციო კომისიას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), თუკი კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულია საკონკურსო პროცედურები;

ზ) გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება და მიაწოდოს სამუშაო მასალა (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები) საკონკურსო/სააპელაციო კომისიებს;

თ) საპროცედურო კომისიის უფლებამოსილების განხორციელებისას ითანამშრომლოს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით წინამდებარე ბრძანებით შექმნილ საკონსულტაციო (სამუშაო) ჯგუფთან.

1.3 2026 წლის აპრილში ჩასატარებელი ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით **შეიქმნას საკონსულტაციო (სამუშაო) ჯგუფი,** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (ა. შარაძე) და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი (ზ. ბერაძე) - ბსუ-ს პორტალზე სამეცნიერო პერსონალის კონკურსის მოდულთან დაკავშირებით კონკურსანტების/საკონკურსო/საპროცედურო კომისიების წევრებისათვის კონსულტაციების საჭიროების გათვალისწინებით;

ბ) იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (ჟ. ჯიბლაძე) და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (გ. დიასამიძე) - კონკურსის რეგულაციის და კონკურსის გამოცხადების ბრძანების აღსრულების სამართლებრივი პროცედურების ნაწილში (მათ შორის საკონკურსო კომისიის/საპროცედურო კომისიის წევრების კონსულტირება კონკურსის ეტაპების, ოქმების შედგენის, შედეგების წარდგენის შესახებ და სხვა).

2. საპროცედურო კომისიამ და საკონსულტაციო (სამუშაო) ჯგუფმა იხელმძღვანელოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის", ,,ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 18 მარტის №01-02/58 და წინამდებარე ბრძანებებით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საპროცედურო კომისიისა და საკონსულტაციო (სამუშაო) ჯგუფის წევრებს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე